

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობი მიზნობრივი პროგრამები ევროკავშირის ქვეყნებში

აბსტრაქტი

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდისა და მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ყველაზე დინამიური საშუალებაა.

მცირე ბიზნესის განვითარებისთვის ხელშეწყობით იქმნება საზოგადო კეთილდღეობის სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური პირობები.

ეკონომიკის განვითარებაზე ეფექტიანი ზეგავლენის ფაქტორების მიხედვით, ქვეყნებს ყველაზე მეტად გამოარჩევს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის გაცნობიერება და სტიმულირების ორგანიზაციული მოწყობა. ამ მხრივ, მდიდარი ტრადიცია, ხანგრძლივი გამოცდილება და ფორმების მრავალფეროვნება თავს იყრის ევროკავშირისა და კონტინენტური ევროპის ქვეყნებში.

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება აქტუალურია საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისთვის.

ნაშრომში განხილულია საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების დამოკიდებულება მცირე და საშუალო ბიზნესისადმი და ასახულია საწარმოებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის გამოცდილება.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი; მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა.



ნათია კურდგელია
ქუთაისის უნივერსიტეტის
დოქტორანტი

TARGETED SME SUPPORT PROGRAMS IN EU COUNTRIES

Natia Kurdgelia

PhD student at Kutaisi University

ABSTRACT

Supporting the development of small and medium-sized businesses is the most dynamic way to increase the socio-economic well-being of the country and increase its competitiveness in world markets.

Social, economic, legal and political conditions of public welfare are created by promoting small business development.

According to the factors influencing the effective development of the economy, the countries most distinguished are

the understanding of state support for small and medium enterprises and the organizational arrangement of incentives. In this regard, the rich tradition, long experience and diversity of forms are concentrated in the countries of the EU and continental Europe.

Consideration of the best practices of state support countries for small and medium enterprises in Europe is relevant for the growth of the Georgian economy.

The paper discusses the attitudes of the governments of France, Germany, Italy, and the United Kingdom towards small and medium-sized businesses and reflects the experience of state support for enterprises.

Keywords: small and medium business; State support for small and medium businesses.

ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შესწავლისას, ყოველთვის ყურადღებას იქცევს აღმავალი ტემპების განმაპირობებელი ფაქტორები. თითქმის ყველგან, ასეთი ფაქტორების ერთობლიობა საწარმოებისა და ბუნებრივი რესურსების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებას უკავშირდება. კვლევის შედეგებში ერთიანია მოსაზრება მასზე, რომ ეკონომიკის განვითარებას ხელს უწყობს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საპროცენტო განაკვეთების შემცირება, მწარმე სუბიექტებს შორის ურთიერთობასა და ეროვნული სავალუტო კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფაზე მუდმივი ზრუნვა. არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი

უჭირავს ბაზრების, მაკროეკონომიკური ღონისძიებების, სტატისტიკის, საბანკო სისტემისა და სამეწარმეო კანონმდებლობის გამჭვირვალობის დამკვიდრების აუცილებლობის არგუმენტებს. მაგრამ ეკონომიკის განვითარებაზე ეფექტიანი ზეგავლენის ფაქტორების მიხედვით, ქვეყნებს ყველაზე მეტად გამოარჩევს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის გაცნობიერება და სტიმულირების ორგანიზაციული მოწყობა. ამ მხრივ, მდიდარი ტრადიცია, ხანგრძლივი გამოცდილება და ფორმების მრავალფეროვნება თავს იყრის ევროკავშირისა და კონტინენტური ევროპის ქვეყნებში.

მოქმედი ნორმების თანახმად, ევროკავშირში მცირეს მიეკუთვნება საწარმო, რომელშიც 100-ზე ნაკლები დასაქმებულია, საშუალო - 100-დან 250-მდე, ხოლო მათი წლიური ბრუნვა 40 მილიონ ევროზე ნაკლებია.

„მცირე ბიზნესი ევროპაში წარმოადგენს ევროკავშირის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხერხემალს. ევროკავშირში 23 მილიონზე მეტი მცირე და საშუალო საწარმოა, რომელთა წილი მთლიანი ბრუნვისა და დამატებითი ღირებულების ნახევარს ქარბობს. მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 70%-ია, რაც მთლიანი ბრუნვის 57%-ს და დამატებითი ღირებულების 53%-ს შეადგენს“¹.

აღნიშნული მონაცემები ნათლად ადასტურებს მცირე და საშუალო საწარმოების ფუნდამენტურ როლს ევროპის თითოეული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში - აქ, მცირე საწარმოები იქმნება და მსხვილ ბიზნესთან ერთად ჰარმონიულად ვითარდება ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში, უპირატესად კი, ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობასა თუ მრეწველობაში; აქტიური მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მცირე სექტორშია დასაქმებული და მშპ-ის დაახლოებით ნახევარი ამ სფეროში ინარმოვება.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება ევროპაში ხორციელდება მათი განვითარებისთვის ფინანსური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და პერსონალის მოსამზადებლად დახმარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით. მცირე ბიზნესის განვითარების სტიმულირების მიზნით, შემუშავებულია ახალი იურიდიული მოდელები (European Stock Company, European Pool of Economic Interes), რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის მცირე საწარმოებს საშუალებას აძლევს დაამყარონ საქმიანი ურთიერთობა, ეფექტურად გადაწყვიტონ სხვადასხვა სახელმწიფოს იურიდიულ სისტემაში არსებული უთანხმოების პრობლემები.²

მენარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ერთიან პოლიტიკას, დახმარების სისტემურ ორგანიზებას და საკანონმდებლო რეგულირებას განსაზღვრავენ ევროკავშირის სპეციალიზებული სტრუქტურები და ახორციელებენ კავშირში შემავალი ქვეყნების ეკონომიკის ან / მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროები. აღნიშნულ სტრუქტურებს მცირე და საშუალო ბიზნესთან უშუალო კავშირი არ გააჩნიათ. მათ ფუნქციებში შედის იმ ბაზრის სტრუქტურების მხარდაჭერა და სტიმულირება, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მცირე ბიზნესთან. შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაფინანსება ხდება ევროკავშირის რეგიონული და სოციალური განვითარების სტრუქტურული ფონდებიდან.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ერთიანი პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ინვესტიციები მიიმართოს ამ

სფეროს ყველა სექტორზე, თუმცა ამასთან, რეგიონების მდგრადი და თანაბარი განვითარების ინტერესებისთვის, პრიორიტეტი ენიჭება მრეწველობის, მშენებლობის, აგრეთვე სავაჭრო და ფინანსური საქმიანობის დარგებში საწარმოთა ახალი ტექნიკით გადაიარაღების და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისების დაფინანსებას.

ევროპის ჩრდილოეთის ქვეყნები, დანია და ნიდერლანდები, ტრადიციულად, აგრარული მიმართულების არიან, ამიტომ ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის საწარმოების მხარდაჭერას ენიჭება უპირატესობა.

პრაქტიკა მოწმობს, რომ ევროპის ქვეყნებში მცირე ბიზნესი ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას, „აიძულებს“ მსხვილ კომპანიებს მუდმივად იზრუნონ ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და წარმოებული პროდუქციის (საქონლის, მომსახურების, შესრულებული სამუშაოს) ხარისხის გაუმჯობესებაზე. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებულ საქმიანობაზე პირდაპირაა დამოკიდებული მთელი ეკონომიკის ეფექტურობა. სწორედ ამიტომ ევროკავშირი აწარმოებს მცირე ბიზნესის მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერის ისეთ პოლიტიკას, რომლის მთავარი მიზანია სახელმწიფოსა და ბიზნესის ინტერესების დაბალანსება, სამენარმეო საქმიანობისთვის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა. მხარდაჭერის ერთიანი პოლიტიკის უპირატესი პრიორიტეტი მცირე ბიზნესის სფეროში ინოვაციების დანერგვა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ წინსვლასა და „საშუალო კლასის“, როგორც საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობაში მნიშვნელოვანი ფაქტორის, ჩამოყალიბებას.

განზოგადებულად, შეიძლება ითქვას, რომ ევროსივრცეში იდენტურია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, განსხვავებულია მხოლოდ ცალკეული ქვეყნის ორგანიზაციული და საწარმოების მხარდაჭერის ფორმები.

ევროკავშირის სტრუქტურების გარდა, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას დამოუკიდებლად ახორციელებს ევროპის ცალკეული ქვეყნის ხელისუფლება. ამ პროცესში ჩართულია კერძო ინიციატივები და მსხვილი ბიზნესიც, რაც ერთობლიობაში დამატებითი, შედეგზე ორიენტირებული, მძლავრი სტიმულია ეკონომიკის აღმასვლისთვის.

ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესისადმი ასეთი პოლიტიკის განხორციელება ემსახურება ეროვნული მცირე საწარმოების საერთაშორისო კონკურენციის განვითარებას; ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მცირე საწარმოების ეკონომიკური ზრდას; უცხოური ინვესტიციების მოზიდვას; ინოვაციურ საქმიანობას; ტექნოლოგიებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

კვლევის შედეგებისა და მისგან გამომდინარე დასკვნების არგუმენტირებისთვის, მეტ საანალიზო ბაზას შექმნის ევროპის ცალკეულ ქვეყანაში მცირე და საშუ-

1 Арустамов Э.А., Пахомкин А.Н., Митрофанов Т.П. Организация предпринимательской деятельности. – М., 2009. – 331 с.

2 Бҭаҭო: Мировые тенденции развития предпринимательской деятельности в экономике зарубежных стран, <https://articlekz.com/article/15307>

ალო ბიზნესის განვითარების სტიმულირების ფორმების წარმოდგენა, მათ შორის, განსაკუთრებით საინტერესოა საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ჩეხეთის, დიდი ბრიტანეთის გამოცდილება.

საფრანგეთში მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის პროგრამა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მიიღო. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საფრანგეთის ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მით უფრო ქვეყანაში რეგისტრირებული ყველა საწარმოს 99.8% შეესაბამება „მცირე და საშუალო საწარმოების“ განმარტებას. 250-ზე მეტი თანამშრომლის მქონე კომპანიებს საფრანგეთის საწარმოების მხოლოდ 0.2% უკავიათ.¹

მცირე და საშუალო ბიზნესის ასეთი სიმრავლე, გარკვეულწილად, მსხვილი კომპანიების დამსახურებაა. ისინი მიზნობრივად ქმნიან ტექნოლოგიური ციკლით ურთიერთდაკავშირებულ მცირე საწარმოთა ქსელებს, რომელთა მეშვეობითაც მსხვილი კომპანიები ღებულობენ მაკომპლექტებელ თუ ცალკეულ დეტალებს, სარემონტო სამუშაოებსა და ტექნიკური სახის მომსახურებას. თავის მხრივ, მსხვილი კომპანიები ეხმარებიან კონტრაქტორ საწარმოებს ტექნოლოგიების, ინოვაციების, ნედლეულის, მასალების და ა.შ. მიწოდებაში. ამ ტანდემმა ხარისხობრივად გააუმჯობესა მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა საფრანგეთის ბაზარზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში საფრანგეთის სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც ერთობლივად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ევროკავშირის ბიუჯეტიდან და კერძო წყაროებიდან, კოორდინირებული კავშირის რეგიონების მდგრადი, თანაბარზომიერი განვითარების პოლიტიკასთან და ემსახურება: ახალი საწარმოების შექმნას; რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას; მოსახლეობის დასაქმებას, ინოვაციების სტიმულირებას; კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

მცირე ბიზნესის სტიმულირების სახელმწიფო პოლიტიკა მოიცავს საგადასახადო შეღავათების დაწესებას, ბიზნესის ინკუბატორების შექმნას, ბიუროკრატიული პროცედურების მინიმიზაციას, მენარმეთა ტრენინგისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ხელმისაწვდომობას. საფრანგეთში არსებობს საგარანტიო ფონდები, რომლებიც დამწყებ მენარმეებს ეხმარება დაფინანსების წყაროების მოძიებაში. მცირე ბიზნესისთვის მოქმედებს გამარტივებული დაბეგვრის რეჟიმი. ახლად შექმნილი მცირე ბიზნესი ორი წლით თავისუფლდება სააქციო საზოგადოებებისა და ადგილობრივი გადასახადებისაგან. მოგებიდან ინვესტირებულ ნაწილსა და საშემოსავლო გადასახადზე მოქმედებს შემცირებული განაკვეთები. მენარმეები, რომლებიც გადანყვეტენ ბიზნესის გახსნას სუბსიდირებულ რეგიონებში, თავისუფლდებიან სოციალური დაცვის ფონდებში გადასახადებისაგან. მცირე ინოვაციური საწარმოები საქმიანობის პირველი ორი წლის განმავლობაში მთლიანად თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან

და მხოლოდ არსებობის მეექვსე წლიდან იხდიან ამ გადასახადს სრულად. ახლადშექმნილი საწარმოებისთვის მოქმედებს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ბანკები გასცემენ შეღავათიან სესხებს და სუბსიდირებენ სპეციალური პირობებით. ფართოდ არის გავრცელებული უფასო კონსულტაციები დამწყები მენარმეებისთვის მარკეტინგში, სამართალში, აუდიტში და ა.შ. მაგრამ ყველაზე პოზიტიური გავლენა და შედეგები მოაქვს იმ გარემოებას, რომ მუნიციპალური და კერძო ფონდები არიან დაინტერესებული მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის წარმატებული განვითარებით, ეხმარებიან კომპანიებს საქმიანობის დაგეგმვაში, გაფართოებასა და კავშირურთიერთობების გამყარებაში, აგრეთვე ყველა სხვა პრობლემების გადაწყვეტაში².

გერმანია, ევროკავშირის ქვეყნებს შორის, ერთ-ერთი მაღალგანვითარებული და გამორჩეულია მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ დამოკიდებულებითაც. ექსპერტების აზრით, ევროპის ქვეყნებს შორის, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ყველაზე ეფექტიანი სახელმწიფო დახმარების პროგრამებიც სწორედ გერმანიაშია.

გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის ფედერალური სამინისტრო მცირე და საშუალო საწარმოებს განმარტავს, როგორც კომპანიებს, რომლებსაც ჰყავთ 500-ზე ნაკლები თანამშრომელი ან აქვთ დაახლოებით 50 მილიონ ევროს წლიური ბრუნვა. 2015 წლის მონაცემებით, გერმანული ფირმების 99.6 პროცენტი მცირე და საშუალო იყო. მათ შექმნეს საშუალო ადგილების 58.5%, რომლებსაც ჰქონდათ სოციალური დაზღვევა. და გერმანიის ყველა კომპანიის საერთო გაყიდვების 35.3%. მათ წვლილზე მოდის სუფთა დამატებული ღირებულების 54.9 პროცენტი.³

მენარმეთა ინტერესების უზრუნველსაყოფად, გერმანიაში მოქმედებს სახელმწიფო სავაჭრო და ინდუსტრიული პალატები, რომელშიც ყველა მენარმე სუბიექტის გაერთიანება სავალდებულოა. აღნიშნული პალატები მონაწილეობას იღებენ ყველა დონის ბიუჯეტის ფორმირებაში, მშენებლობისა და ინდუსტრიის განვითარებაში, მცირე საწარმოების რეგულაციასთან დაკავშირებული და სხვა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პროექტების გადანყვეტაში. მათი შეფასების გარეშე არც ერთი სამართლებრივი აქტი არ მიიღება. ისინი კოორდინირებულად მუშაობენ ევროკავშირის ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატების წარმომადგენლებთან. აღნიშნულ პალატებს სტრუქტურული წარმომადგენლობები გახსნილი აქვთ ქვეყნის ფედერალურ, საშტატო, საქალაქო, სათემო ტერიტორიულ დანაყოფებში და ისინი ადგილებზე იღებენ კონკრეტულ გადანყვეტილებებს. ოპერატიულობის მიზნით, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ფუნქციები გადაეცა სპეციალიზირებულ ბანკებს,

2 წყარო: Багова А. Опыт поддержки малого и среднего бизнеса в зарубежных странах (на примере Германии и Франции), <https://center-bereg.ru/b2390.html>

3 ჰანსიორგ ჰერი, ცეინერ მ. ნეტეოვენი, მცირე და საშუალო საწარმოების როლი განვითარების პროცესებში, გერმანული გამოცდილება, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2019, <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15734.pdf>

1 წყარო: Багова А. Опыт поддержки малого и среднего бизнеса в зарубежных странах (на примере Германии и Франции), <https://center-bereg.ru/b2390.html>



აგრეთვე თვითრეგულირებად ისეთ კერძო ბიზნესს ორგანიზაციას, როგორცაა ხელოსნობის, კომერციული და ინდუსტრიული პალატა.

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა მოიცავს ფედერალური და რეგიონალური მნიშვნელობის 500-ზე მეტ პროგრამას. მათ შორის, დაფინანსების მასშტაბებით გამოირჩევა სუსტი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე რეგიონებისთვის სუბსიდირების პროგრამა. ამ პროცესში აქტიურად ჩართულია კერძო ინიციატივებიც. ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები მთლიანად ორიენტირებულია საინვესტიციო საქმიანობის გასააქტიურებლად, რამდენადაც მიჩნეულია, რომ ინვესტიციები არის ბაზარზე ახალი საწარმოების გაჩენის, უკვე არსებულ საწარმოებში მუდმივი ცვლილებებისა და ინოვაციების დამკვიდრების ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა. სახელმწიფო მხარდაჭერა გამოიხატება მოქმედი ბიზნესისა და ყველა დაინტერესებული პირისთვის უახლოეს ტექნოლოგიებზე ინფორმაციის მიწოდებაში; ეკონომიკურ და ტექნიკურ საკითხებზე კონსულტაციებისა და ტრენინგის მოწყობაში; მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის თანამშრომლობისთვის ახალი პროექტების შექმნასა და მათ უზრუნველყოფაში. სახელმწიფო ეხმარება საწარმოებს განახორციელონ საწყისი კაპიტალის ფორმირების, წარმოების გაფართოების, რაციონალიზაციის, მოდერნიზაციისა და ტრანსფორმირების პროცესებში გრძელვადიანი ინვესტიციები.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა ხორციელდება კომბინირებულად, პირდაპირი და ირიბი ფორმებით. პირდაპირ ფორმებში მოიაზრება საინვესტიციო წანამატების, შეღავათიანი კრედიტების, გარანტიების, დახმარებების, სუბსიდიების გაცემა, ხოლო არაპირდაპირ ფორმებში - საგადასახადო შეღავათები, რომლებიც ნაწილობრივ ათავისუფლებენ პროგრამაში ჩართული კატეგორიის საწარმოებს საშემოსავლო გადასახადისაგან. მათთვის მოქმედებს აგრეთვე ამორტიზაციის განსაკუთრებული ნორმები

წარმოების მიმართულების კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების სტიმულირებისთვის.

შეღავათიანი კრედიტის გაცემის პირობებში თავიდანვე გათვალისწინებულია:

- დაბალი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოქმედებს კრედიტის გაცემის მთელ პერიოდზე;

- კრედიტის გაცემის ხანგრძლივი პერიოდი - ხშირად ათი წელი, თანაც მინიმუმ პირველი ორი წლით საწარმო თავისუფალია ყველა სახის გადასახადისაგან;

- აღებული თანხების დაბრუნების შესაძლებლობა ნებისმიერ დროს, უმეტესწილად, ყოველგვარი დამატებითი გადასახადების გარეშე.

გერმანიაში განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობენ ახლადგახსნილი საწარმოები და დამწყები ბიზნესის წარმომადგენლები. მათზე გაიცემა დაბალპროცენტოვანი სესხი - მკვიდრი მოსახლეობისთვის 20 წლამდე ვადით და 50 ათასი ევროს ოდენობით. მუშაობის პირველი ორი წლის განმავლობაში მოქმედებს უპროცენტო განაკვეთი, ხოლო მომდევნო წლების განმავლობაში განსაზღვრულია პროცენტის შეღავათიანი განაკვეთი - წლიურად 4%-დან 5%-მდე. ბიზნესის ფორმირებაში ინვესტიციის 40% -მდე შეიძლება დაფინანსდეს გარანტიების გარეშე. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს თანხის დაუბრუნებლობის რისკს.

მხარდაჭერის ნახალისების მთლიანი სტრატეგიის შემადგენელია ისიც, რომ გერმანიაში არიან ძალიან ძლიერი დამსაქმებელთა ასოციაციები და ფედერაციები, რომლებიც ასევე დიდ როლს ასრულებენ მცირე და საშუალო საწარმოების წარმატებაში. ასევე, არსებობენ დარგობრივი დამსაქმებელთა ასოციაციები, რომლებიც ფირმებს ეხმარებიან კვლევასა და განვითარებაში, პროფესიულ განათლებასა და ტრენინგებში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მცირე და საშუალო საწარმოები, ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილ, ურთიერთხელშეწყობის დამოკიდებულებას ავლენენ. საწარმოები ერთმანეთს სამართლებრივი ცვლილებების, მაკროეკონომიკური პირობების, სამომავლო ეკონომიკური და

ტექნოლოგიური ტენდენციების შესახებ ინფორმაცი-
ბსაც აწვდიან. გერმანია გამორჩეულია მსხვილი კომპა-
ნიების ურთიერთობითაც მცირე ბიზნესთან - ქვეყნის
სიმბოლოდ მიჩნეული გიგანტი სანარმოები მცირე
ბიზნესის წარმომადგენლებს უზიარებენ ცოდნასა და
გამოცდილებას, აძლევენ დაკვეთებს და ამუშავებენ
პარტნიორული ურთიერთდაშოკიდებულებით. ამ ნიშ-
ნით, შეიძლება ითქვას, რომ გერმანია არის „თანამშრომ-
ლობითი კონკურენციის“ საუკეთესო მაგალითი. ასეთი
კომბინაცია ხელს უწყობს კომპანიების ინოვაციას,
პროდუქტიულობას და კონკურენტუნარიანობას.

იტალია ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყა-
ნაა. მისი ასეთი მაღალი რეპუტაცია განაპირობა მცირე
და საშუალო მენარმეობის განვითარების მხარდაჭერის
მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ძალისხმევამ.
შედეგზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამჟამად,
ამ ქვეყანაში დაახლოებით 3,5 მილიონი მცირე და საშუ-
ალო ბიზნესია; მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმე-
ბულია 13 მილიონზე მეტი ადამიანი, ანუ ეკონომიკურად
აქტიური მოსახლეობის 80%; მცირე და საშუალო სანა-
რმოთა წილი ქვეყნის მშპ - ში შეადგენს 52%¹;

იტალიის ეკონომიკის აღმავლობის მთავარი
ფაქტორი გახდა ის საკანონმდებლო ნორმები, რომ-
ლებიც არეგულირებენ მცირე და საშუალო ბიზნესის
ყოვლისმომცველ მხარდაჭერას. მათ შორისაა გრანტე-
ბისა და შეღავათიანი სესხების გაცემის, ექსპორტის
წახალისების, ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერისა და
სტიმულირების, ახალბედა მენარმეებისთვის დახმარე-
ბის პირობების გაწერა. მცირე და საშუალო ბიზნესის
სექტორის ასეთი წარმატებული განვითარების ერთ-
ერთი ფაქტორია აგრეთვე მსხვილი სანარმოებისა და
მცირე და საშუალო სანარმოების თანამშრომლობა, რაც
ურთიერთსასარგებლო სანყისებზეა დაფუძნებული.
ასეთ თანამშრომლობაში უპირატესად ჩართულნი
არიან კომპანიები, რომლებიც ინოვაციურ პროდუქციას
ანარმოებენ. მცირე და საშუალო ბიზნესის ყოვლისმო-
მცველი დახმარება და მხარდაჭერა ხორციელდება
იტალიის მრეწველობის სამინისტროსა და რეგიონების
მთავრობის მიერ, რომლებსაც ამისათვის ფართო უფლე-
ბამოსილებები მიენიჭა.

მენარმეობის ხელშეწყობის მიზნით, იტალიაში შექ-
მნილია **მცირე სანარმოთა საინვესტიციო ფონდი**. მას
უფლება აქვს ინვესტიციები განახორციელოს მხოლოდ
იმ სანარმოებში, რომლებიც არ არიან კოტირებული
საფონდო ბირჟებზე. მას არ შეუძლია დააბანდოს სახ-
სრები სახელმწიფო ობლიგაციებში ან სხვა დახურული
ფონდების მიერ გამოშვებულ აქციებში. ფონდისთვის
მოგების მთავარი წყაროა მისი კაპიტალური მონაწილე-
ობით შექმნილი კომპანიების აქციების გაყიდვა.

მცირე სანარმოთა სახელმწიფო დახმარების ძირი-
თადი მიმართულებაა სუბსიდირება და შეღავათიანი
სესხების გაცემა. ახალი ფირმების შექმნის პროექტე-
ბის განსახორციელებლად სესხები გაიცემა 15 წლამდე

ვადით, ხოლო არსებული ფირმების მოდერნიზაციის ან
გაფართოების შემთხვევაში - 10 წლამდე ვადით. საპრო-
ცენტო განაკვეთი, სესხის ზომისა და მიზნობრიობის
გათვალისწინებით, ბაზრის 36-60%-ს შეადგენს. განსა-
კუთრებული შეღავათები ეძლევა ახალბედა მენარმეებს,
მაგრამ ამავდროულად, მოქმედებს მათი საქმიანობის
პერიოდული შემონმების სისტემა და დარღვევების
აღმოჩენის შემთხვევაში, უქმდება შეღავათები, გათვა-
ლისწინებულია სხვა მკაცრი სანქციებიც.

მაღალტექნოლოგიური ბიზნესის, სამეცნიერო-კვლე-
ვითი და განვითარების ღონისძიებების მხარდასაჭერად,
იტალიაში მოქმედებს აგრეთვე **ინოვაციებისა და ტექნო-
ლოგიების ფონდი და გამოყენებითი კვლევების ფონდი**.

მცირე და საშუალო სანარმოთა მხარდაჭერისთვის
გამოიყენება საგადასახადო შეღავათები, სესხების
გარანტიები, საექსპორტო კრედიტების დაზღვევა (ც-
ხშირად, საერთო ჯამში, ყველა სახის პრივილეგიები,
რომლებსაც მცირე და საშუალო სანარმო სარგებლობს,
ფარავს საჭირო კაპიტალის ინვესტიციების 50%-ს და
ექსპორტის საკრედიტო დაზღვევა მოიცავს 90%-დან
მათი ღირებულების 100%.

იტალია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათ,
ვინც მუშაობს ინოვაციების დანერგვაზე, აგრეთვე ისეთ
ინდუსტრიებში, როგორიცაა ინფორმატიკა და ბიოტექ-
ნოლოგია. მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებ-
ლად, იტალია იყენებს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ
ევროკავშირის ფინანსებსაც. გარდა ამისა, იტალიას
აქვს პროფესიული გადამზადების კურსებისა და ბიზ-
ნესსერვის ცენტრების ფართო ქსელი, რომელიც უფასო
რჩევებს აძლევს მენარმეებს ეკონომიკური საქმიანობის
ყველა მიმართულებით².


დიდ ბრიტანეთში მცირე და საშუალო სანარმოების
მიმართ დამოკიდებულება ევროპის ქვეყნებისგან ძალიან
განსხვავებულია. ასეთი განსაკუთრებულობა დაკავშირე-
ბულია იმ გარემოებასთან, რომ გასული საუკუნის 90-იანი
წლებში ამ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშო-
რისო ბაზრებზე და ევროკავშირის ქვეყნებში შესამჩნე-
ვად შემცირდა. შესაბამისად, ეკონომიკური პრობლემე-
ბით დაინტერესების გააქტიურება გარდაუვალი გახდა.
ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი,
რომელიც პრემიერ-მინისტრ **ტონი ბლერის** კაბინეტმა
დასახა, ითვალისწინებდა მცირე და საშუალო ბიზნესის
განვითარებისთვის, როგორც მსოფლიო ბაზრებზე ქვე-
ყნის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდისა
და მისი კონკურენტუნარიანობის ყველაზე დინამიური
საშუალებებისთვის, საუკეთესო პირობების შექმნას. აღ-
ნიშნული მიზნისთვის, მცირე ბიზნესის მხარდაჭერი
დაქსაქსული, სხვადასხვა ორგანიზაციების ნაცვლად,
ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს სტრუქ-
ტურაში ჩამოყალიბდა ძლიერი, ერთიანი სპეციალური
სამთავრობო ორგანო - **მცირე ბიზნესის მომსახურების
სააგენტო**, რომელიც უშუალოდ ანგარიშვალდებულია
პრემიერ-მინისტრთან და სრულად აგებს პასუხს სა-

1 წყარო: Понятие малого и среднего предпринима-
тельства и основные критерии отнесения субъектов эко-
номики к малым и средним предприятиям, <http://www.macro-econom.ru/econom-2194-1.html>

2 წყარო: Роль малого и среднего бизнеса в экономике
страны и инфраструктура его поддержки, <https://zaeto.ru/nuda/mechanizmi-finansovoj-podderjki-malogo-i-srednego-biznesa-v-ita/stranica-2.html>

სურათი 1

დიდი ბრიტანეთის მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სტრუქტურა



წყარო: Зарубежный опыт поддержки малого и среднего предпринимательства, <https://kfpp.ru/analytics/material/foreignsupportexp.php>

მართავად განწესებულ სფეროს წარმატებაზე. მცირე ბიზნესის მომსახურების სააგენტო ადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებებს, ურთიერთქმედებს ხელისუფლების ყველა შტოსთან და ქვეყნის მთავრობასთან, კოორდინაციას უწევს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერი ყველა სახელმწიფო ინფრასტრუქტურის საქმიანობას, აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან (სქემატურად იხ. სურათი 1).

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის უმთავრეს მომართულებებად განისაზღვრა¹:

- სამენარმო კულტურისა და საქმიანი ურთიერთობების გაღრმავება;
- ახალი საწარმოების წარმოქმნის პროცესების გააქტიურება, მათი დაჩქარებული განვითარებისა და შემდგომი ზრდის პირობების შექმნა;
- ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- მენარმოების განვითარება დეპრესიულ ადგილებში და გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში (ქალები, ეროვნული უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ა.შ.);
- მენარმოების მოზიდვა საჯარო სერვისების (ინფორმაცია, მარკეტინგი, სახელმწიფო შეკვეთები, დაფინან-

სება, ექსპორტი და ა.შ.) აქტიური გამოყენებისთვის;

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, უფრო ეფექტური საჯარო პოლიტიკისა და ბიზნესის რეგულირების ღონისძიებების შემუშავება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ბაზრის კვლევისა და შეფასების ღონისძიებების ამაღლება.

საერთო ძალისხმევის შედეგი მალევე დაეტყო დიდი ბრიტანეთის ეკონომიკას: მცირე საწარმოთა რაოდენობა მოქმედ საწარმოთა შორის 99,1%-ს შეადგენს. მათი წვლილი ქვეყნის მშპ-ში 54 %-მდე გაიზარდა, დასაქმებულთა საერთო რაოდენობა პრომისუნარიანი მოსახლეობის 55,5 %-ია და 15,3 მილიონს ქარბობს.

ბრიტანეთში მცირე ან საშუალო ბიზნესის მკაფიო განმარტება, ფაქტობრივად, არ არსებობს. პრაქტიკის მიხედვით, აქ მცირე საწარმოებს აკუთვნებენ საწარმოებს, რომლებშიც დასაქმებულია 50-მდე ადამიანი და წლიური ბრუნვა 5,3 მილიონ დოლარამდეა, ხოლო საშუალოს აკუთვნებენ საწარმოებს, რომლებშიც 50-დან 250-მდე დასაქმებულია და წლიური ბრუნვა 21,2 მილიონ დოლარს არ აღემატება.

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სახელმწიფო დახმარებას შემდეგი ოთხი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

- საკანონმდებლო აქტების შემუშავება და მისი დებულებების დაზუსტება, ადმინისტრაციული მოთხოვნების რელაქსაცია;



- ფინანსური მხარდაჭერა;
- საკონსულტაციო და დამხმარე მექანიზმების შემუშავება.

- დაბეგვრის გაუმჯობესება.

ფინანსური დახმარებების სახელმწიფო პოლიტიკა მიზნად ისახავს კომერციული ბანკების წახალისებას და მათ ჩართვას მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელშეწყობის სქემაში. პრაქტიკულად, ყველა ბანკი იყენებს დაკრედიტების საკუთარ სისტემას, თუმცა მოქმედი სახელმწიფო საგარანტიო პროგრამა კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს დააფინანსონ საწარმოები, რომელთაც არ შეუძლიათ სესხის აღება საკუთარი ძალებით. ამ პროგრამის მიხედვით, მთავრობა უზრუნველყოფს სესხის დაუფარავი სესხის დეფოლტის 70%-ს, ხოლო დაუცველ ადგილებში - 85%-ს. სახელმწიფო გარანტიები მოიცავს კომერციული ბანკების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გაცემული სესხების 70-80%-ს.

გარდა ამისა, ხორციელდება სპეციალური პროგრამები, რომლებიც ეხმარება ბიზნესის დაწყებით ან გაფართოებით დაინტერესებულ პირებს; რეგიონული დახმარების პროგრამები შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის საწარმოებისთვის; აგრეთვე საექსპორტო საქმიანობის წახალისების პროგრამები, რომელიც საერთოა მცირე ბიზნესის ყველა წარმომადგენლისთვის.

დიდი ბრიტანეთის მასშტაბით, მცირე ბიზნესს ეძლევა ფართო მასშტაბის საკონსულტაციო მომსახურება და სხვადასხვა სახის ტექნიკური დახმარება.

როგორც წესი, ბრიტანეთში შემოსავლის გაანგარი-

შებისა და დეკლარირების მოთხოვნები ერთიანია ყველა გადამხდელისთვის, მაგრამ გარკვეული დათმობები მოქმედებს მცირე კომპანიების მიმართ. კერძოდ, 15,000 ფუნტ სტერლინგის შემოსავლის მქონე კომპანიებს შეუძლიათ წარადგინონ გამარტივებული დეკლარაციები, ასევე, მცირე ბიზნესი თავისუფლდება წინასწარი გადახდებისგან, თუ მათი წლიური მთლიანი დავალიანება 500 ფუნტ სტერლინგზე ნაკლებია. საგადასახადო შეღავათები წესდება, როგორც დროებითი წახალისება და მოქმედებს შეზღუდული ვადით.

ქვეყნის მასშტაბით მოქმედებამია სულ: 28 სახელმწიფო პროგრამა, რომლის მეშვეობით მცირე ბიზნესის საწარმოებზე სესხი სახით ყოველწლიურად 6,3 მილიარდი დოლარი გაიცემა; მცირე ბიზნესის მომსახურების სააგენტოს 26 რეგიონული და პარტნიორი ორგანიზაცია; 12 უფლებამოსილი საკრედიტო-ფინანსური ორგანიზაცია; 450 მეწარმეობის განვითარების ცენტრი; 471 ბიზნეს-ინკუბატორი და ტექნოპარკი; 98 მეწარმეობის სოციალურად ორიენტირებული ცენტრი; 45 საინფორმაციო ცენტრი; 11 საინფორმაციო ქსელი; 60 ექსპორტის მხარდაჭერის სააგენტო.

ყველა სამეწარმეო ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს მცირე ბიზნესის მომსახურების სააგენტოს „საზოგადოებრივ საბჭოსთან“, აგრეთვე დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფთან, რომლებიც ეკონომიკის დერეგულირებაზე ქვეყნის მთავრობისთვის რეკომენდაციებს ამუშავებენ.

ამდენად, გვაქვს საფუძველი შევნიშნოთ, რომ განხილული ევროპის სახელმწიფოების (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი), აგრეთვე, ნაშრომზე მუშაობის დროს ჩვენს მიერ შესწავლილი ანალოგიური ან ნაკლებად საინტერესო პრაქტიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის, მათთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სფეროში სრულიად იდენტური არ არის, პრობლემას არც ცალსახა გადაჭრა გააჩნია. საერთო ისაა, რომ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების ხელისუფლებას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა თანაბრად გაცნობიერებული აქვთ, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდისა და მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ყველაზე დინამიური საშუალება, მისი რეალიზაციის გზები განსხვავებულია.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის გამოცდილების შესწავლა გვაძლევს შესაძლებლობას, რომ საერთო კანონზომიერებიდან გამოვყოთ რამდენიმე საყურადღებო დაკვირვება:

რაც უფრო ნაკლებადაა ქვეყანა განვითარებული, მით უფრო მწვავეა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური რესურსებზე წვდომის პრობლემები. ფინანსების გარეშე კი ეკონომიკური სუბიექტები ვერ მიაღწევენ ეკონომიკური განვითარების აღმავალ დინამიკას. მთელი ქვეყნის განვითარება შეუძლებელია ჯანსაღი კონკურენციისა და მყარი ფინანსური სისტემის გარეშე;

ხელმისაწვდომი, ადეკვატური და გრძელვადიანი

კრედიტის მიღება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უფრო რთულია, ვიდრე დიდი ფირმებისათვის. ხშირ შემთხვევაში, მცირე და საშუალო საწარმოები იძულებულნი არიან სესხები აიღონ არაოფიციალური წყაროებისგან, როგორცაა ოჯახი, მეგობრები, არაპროფესიონალი გამსესხებლები ან არაფორმალური სოციალური ქსელები, რაც ურთიერთობებში წარმოშობს გაუმართლებელ რისკებს და განვითარებაზე უარყოფითად აისახება;

სამუშაო ძალისა და მმართველობითი იერარქიის პროფესიული უნარები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებასა და ბიზნესსუბიექტების წარმატებაში. მათი მომზადების ხარისხი შესაბამისად აისახება პროდუქტიულობასა და კომპანიების ინოვაციურობაზე. უმეტეს შემთხვევაში, ფინანსურ რესურსებზე მეტად, კვალიფიკაციის დეფიციტი წარმოშობს განვითარების შემაფერხებელ გარემოებებს. ამიტომ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მხარდაჭერის მთავარ მიმართულებად განათლებასა და ტრენინგების ორგანიზებაში ინექციები განიხილება. განათლების როლი უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ საკმარისი არაა განვითარების მისაღწევად. ის უნდა იყოს მთელი სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი;

ცნობილი ფაქტია, რომ მცირე საწარმოების რაოდენობა იზრდება კრიზისულ სიტუაციებში, რადგან უმუშევარი და ღარიბი მოსახლეობა იძულებულია ყველაფერი სცადოს თავის გადასარჩენად.

კრიზისების და სიღარიბის პირობებში იწყება ახალი საწარმოების შექმნის, ინოვაციების დანერგვის აღმავალი ტემპით ზრდა. ბევრ განვითარებად ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოების უმრავლესობა სწორედ სიღარიბის ფონზეა წარმოშობილი.



სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობა, ინოვაციური ინიციატივების რეალიზაცია ეკონომიკის მოდერნიზაციის ძირითადი ფაქტორია. თანამშრომლობის, მხარდაჭერისა და ნახალისების ყველაზე საუკეთესო შედეგები მოაქვს ისეთ მიზნობრივ პროგრამებს, რომლებიც ეკონომიკურ პროცესებში მონაწილე ყველა ელემენტის განსხვავებულ გეგმებსა და მოქმედებებს ურთიერთდაკავშირებული ინტერესად აქცევს.

მიზნობრივი პროგრამების წარმატებული განხორციელების გამოცდილებიდან ზოგიერთი გარემოება ანგარიშგასაწევია საქართველოსთვისაც. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- მხარდაჭერის ინსტიტუციური მოწყობის, ორგანიზაციული, ინფორმაციული, იურიდიული, საშტატო და ფინანსური დახმარების ფორმები;

- სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კერძო ინიციატივების ძალისხმევის შერწყმის შედეგები;

- სუფსიდირების ნაცვლად, გადასახადების დიფერენცირების, დეპრესიული რეგიონებისთვის განსაკუთრებული საგადასახდო შეღავათებისა და სხვა არაპირდაპირი დახმარებების ფორმების გამოყენებისთვის უპირატესობის მინიჭება;

- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მხარდამჭერი დაქსაქსული, სხვადასხვა უწყებრივი დაქვემდებარების ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია და ერთ ინსტიტუციაში თავმოყრა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Арустамов Э.А., Пахомкин А.Н., Митрофанов Т.П. Организация предпринимательской деятельности. – М., 2009. – 331 с.;
2. Мировые тенденции развития предпринимательской деятельности в экономике зарубежных стран, <https://articlekz.com/article/15307>;
3. Багова А. Опыт поддержки малого и среднего бизнеса в зарубежных странах (на примере Германии и Франции), <https://center-bereg.ru/b2390.html>;
4. ჰანსიორგ ჰერი, ცეინერ მ. ნეტეკოვენი, მცირე და საშუალო საწარმოების როლი განვითარების პროცესებში, გერმანული გამოცდილება, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2019, <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15734.pdf>;
5. Понятие малого и среднего предпринимательства и основные критерии отнесения субъектов экономики к малым и средним предприятиям, <http://www.macro-econom.ru/economics-2194-1.html>;
6. Роль малого и среднего бизнеса в экономике страны и инфраструктура его поддержки, <https://zaeto.ru/nuda/mechanizmi-finansovoj-podderjki-malogo-i-srednego-biznesa-v-ita/stranica-2.html>;
7. Зарубежный опыт поддержки малого и среднего предпринимательства, <https://kfpp.ru/analytics/material/foreignsupportexp.php>.